პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობისა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 11 იანვარი, 1951 წ. № 9 (8863). ფასი 20 კაპ.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილებს, კომუნიზმის საქმისადმი თავგადაკლილ ადამიანებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ხალხმა დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით დაასახელა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან დიდი სტალინის თანამებრძოლები, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, სტახანოველი მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის სახელოვანი მუშაკები.

ჩვენი ხალხის ერთიანობისა და დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

საქართველოს მშრომელები რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ უკეთესთა შორის უკეთესებს, თავის სახელოვან შვილებს, რომელთაც დაამტკიცეს ლენინ-სტალინის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი ერთგულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ასახელებენ კომუნიზმის გენიალურ ხელოვნებისა, მშვიდობის დიდ მეგობარს, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძენ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. ამხანაგ სტალინის კანდიდატურა უდიდესი ერთსულოვნებით დაასახელეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, დიდი ლილოს, ლანჩხუთის და ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელება გადაიქცა ბოლშევიკური პარტიისა და მისი გენიალური ბელადისადმი ქართველი ხალხის ძიერავლე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად.

— ამხანაგ სტალინის სახელი ჩვენთვის გახსაკუთარებით ძვირფასი და ძახლობელია, რადგან სწორედ აქ, ჩვენს ქარხანაში, ნახევარი საუკუნის წინათ დიდი ბელადი ხელძღვანელობდა მუშათა პირველ მარკსისტულ წრეებს. აქ ასწავლიდა იგი ჩვენს მუშებს პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის ხელოვნებას. ძე მიხდა გამოეხატო ჩვენი ქარხნის მრავალინტიზანი კოლექტივის, მთელი ქართველი ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დაასახელო მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მთელი პროგრესული კაცობრიობის მეგობარი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი, — თქვა წინასაარჩევნო კრებაზე სტალინის სახელობის თბილისის ორთქმლავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ნ. შანიძემ.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა ვიცით, რომ ხალხისათვის არავის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც გაკეთა ამხანაგმა სტალინმა. აი ამიტომ ვასახელებთ მას დეპუტატობის პირველ კანდიდატად. ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს შშობლიური სტალინი იმისათვის, რომ იგი მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის ძალას, თავისი ნათელი გონების მთელ გენიას ამბარს შშრომელი ხალხის სამსახურს. ამხანაგი სტალინი ჩვენ ყვარს იმისათვის, რომ იგი ყოველთვის ხალხთან არის, მისი მოამაგე, მისი იბტიოოესები მაზნებარე დამცველი, — ამბობდა ქარხნის პარტკომიტეტის გამგე ქეთევან ლაცაბიძე.

ამ სიტყვებში გამოთქმულია საქართველოს ყველა შშრომელის აზრები და გრძნობები, მათში გამოხატულია ქართველი ხალხის სიხარული და აღფრთოვანება იმით, რომ ისინი ცხოვრობენ და შრომობენ ხელ ალენინურ ეპოქაში, რომ მათ კომუნიზმის გზას უჩირაოდ ნებს დიდი სტალინი.

ამხანაგ სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის შრეწველთა, სოფლის მეურნეობისა და კულტურის უმაგალითო აყვავება, შშრომელთა კეთილდღეობის ანაზრდილი ზრდა. ამიტომ არის, რომ შშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე გამოსული რიგითი საბჭოთა ადამიანები მთელი ქართველი ხალხის სახელით სიხარულით წარმოთქვამენ სიტყვებს: „დიდი მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის!". ამიტომ არის, რომ მთელი ქართველი ხალხი დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად უდიდესი ერთსულოვნებით ასახელებს ამხანაგ სტალინს.

ხალმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს შრომელები დეპუტატობის კანდიდატებად აღფრთოვანებით ასახელებენ დიდი სტალინის თანამებრძოლებს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, გ. მ. მალენკოვს, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვს, ა. ი. მიკოიანს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ბულგანინს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. მ. შვერნიკს.

მრავალ წინასაარჩევნო კრებაზე ხალხმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა შორის არიან მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწეები, სახელოვანი საბჭოთა არმიის მეომრები და ლიტერატურის მუშაკები. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე ყველა ეროვნების წარმომადგენლები. კანდიდატებად დასახელებულთა შორის მრავალი არიან ჩვენი სახელოვანი ქალები. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანი ფასდება მხოლოდ და მხოლოდ მისი პირადი უნარისა და პირადი შრომის მიხედვით, სამშობლოსადმი და ხალხის ინტერესებისადმი მისი პატიოსნისა სამსახურის მიხედვით.

სწორედ ასეთ, სამშობლოს ერთგულ, თავდადებულ ადამიანებს ასახელებს ხალხი დეპუტატობის კანდიდატებად. თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სტახანოველი ხეინკალი პავლე მუზიგულაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივმა— გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი მიხეილ წინამძღვრიშვილი, გორის საკოსტრეო ქარხნის კოლექტივმა — სტახანოველი ბეკოსლაძე კუტუნა ბერიძე, ალაზნის ტბა-ის მექანიზატორებმა — ცხინოლი ტრაქტორისტი ელენე ნატრიშვილი, მცხეთის რაიონის სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — უხვი მოსავლის ოსტატი, მეოგოლური ოლიო ნონიაშვილი, მაიაკოვსკის ვაკთა საშუალო სკოლის კოლექტივმა — მოწინავე მედადგგრი ელენე ქაშაკაშვილი, ლენინგორის რაიონის სოფელ უკანსმხარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — მეცხვარეობის ფერმის გამგე გიორგი ბაშაროული და სხვ.

როგორც წინა არჩევნების დროს, ბოლშევიკური პარტია ამ არჩევნებზეც გამოდის უპარტიოებთან ერთად. შშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე კომეფილტები და უპარტიოები ერთად მსჯელობენ და ერთად ასახელებენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკი ურღვევია. ამაშია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების წარმატების საწინდარი.

ქართველი ხალხი, რომელიც აღზრდილია დიად სტალინურ ტრადიციებზე, დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, უდიდესი აღფრთოვანებითა და ორგანიზებულობით ემზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. შშრომელთა ერთსულოვანი მისწრაფებაა არჩევნების დღეს — 18 თებერვალს შეხვდნენ კომეფილტური შშენებლობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოპოვებით. ჩვენს ხალხს ამ მიზნის მიღწევათათვის ბრძოლაში აღფრთოვანებს დიადი ბოლშევიკური პარტია, შშობლიური ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

მოსკოვი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკები, შეიკრიბნენ რა თავიანთ XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, გულითად ბოლშევიკურ სალამს გითვლიან თქვენ, პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს, მთელ მსოფლიოში შშვიდობის მედროშეს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს!

თბილისის პარტიული ორგანიზაცია თავის მორიგ კონფერენციაზე მოვიდა ერთიანი მონოლითური რიგებით, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ჩვენ, თბილისის ბოლშევიკები, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული თქვენს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, საყვარელ სახელთან. აქ, ჩვენს ქალაქში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქვენ დაიწყეთ თქვენი რევოლუციური მოღვაწეობა, გარანტის საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოს და აბიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ჩვენ წმიდად ვიცავთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლის სახელოვან სტალინურ ტრადიციებს.

სიხარულით მოგახსენებთ, ამხანაგო სტალინ, რომ საანგარიშო პერიოდში ჩვენმა საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული წარმატებანი მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ შშენებლობაში. ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ ახორციელებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, თქვენს, ამხანაგო სტალინ, ბრძნულ მითითებებს.

მოხარული ვარო გაცნობოთ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, რომ ჩვენმა მრეწველობამ პირნათლად გადაუყვანა ხუთწლიანი გეგმით მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღწეულია სამრეწველო წარმოების ახალი ზრდა, ახალი ძალიან გაჩაღება ბრძოლა საწარმოო რეზერვების საუკეთესოდ გამოყენებისათვის. ჩვენი საწარმოები ახლა წარმატებით ასრულებენ წინანდელზე უფრო რთულ საწარმოო-ტექნიკურ დავალებებს, დღითიდღე ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას, აუქმებენ მის ხარისხს, მტკიცედ ახორციელებენ ნედლეულისა და მასალის ზომჩარნეობას, ფართოდ ავრცელებენ შრომის მოწინავე მეთოდებს.

XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ განვლილ ორ წელიწადში ბნშენველნაგან წაიწია წინ ქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საქმემ. საქართველოს დედაქალაქს ახალი ლამაზი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობები შეემატა. ქალაქის ცხოვრების გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად გაფართოებულია ქალაქის მთელი რიგი მაგისტრალური ქუჩები. ქალაქის მიდამოებში 700 ჰექტარზე მეტი მიწა ახალი მეწვენე ნარგავებით დაიფარა. უფრო ფართო გაქანებით წარმოებს სამშენებლო სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში უფრო გაძლიერდა თბილისის, როგორც საბჭოთა საქართველოს კულტურული ცენტრის, როლი. მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების დარგში, სახალხო განათლებაში მიღწეულია ახალი წარმატებანი, რომლებიც ქართველი ხალხის ღირსეული წვლილია ჩვენი სამშობლოს სოციალისტური ერების კულტურის საგანძურში.

ახლოვდ ან ასრულებენ რა თქვენს მითითებებს, რომ პარტიული მუშაობა სამეურნეო წარმატებათა საფუძველია, თბილისის ბოლშევიკები შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ მას, აძლიერებენ კომეფილტების ავანგარდულ როლს საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, განუწყვეტლივ ეუმჯობესებენ პარტიულ ხელმძღვანელობას სამეურნეო და კულტურული შშენებლობისადმი.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტების იდეური და პოლიტიკური აღზრდის საკითხებს. საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები სისტემატურად და დაუღალავად მუშაობენ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის შესასწავლად.

თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, გვასწავლიდით და გვასწავლით, რომ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების უცილობელი კანონია, ჩვენი წინსვლის წყაროა. ეხელმძღვანელობთ რა თქვენი ბრძნული მითითებებით, ჩვენ მოდამ მომარჯვებული გვაქვს კომუნისტური შშენებლობის ახალ-ახალი წარმატებისათვის ჩვენი ბრძოლის ეს ნაკადი იარაღი.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის წინაშე ახალი დიდი ამოცანებია დასახული 1951 წელს. ჩვენ ეს წელი დავიწყეთ შშრომელთა უდიდესი პატრიოტული ალმავლობის ვითარებაში, რაც გამოიწვია საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის და საბჭოთა საქართველოს მოახლოებული XXX წლისთავისათვის მზადებამ. ვემზადებით რა ქართველი ხალხის ცხოვრების ამ ღირსსაზსოვარი თარიღების შესახვედრად, ჩვენ უფრო ფართოდ გავაჩაღეთ სოციალისტურ შეჯიბრების ახალი სამეურნეო და კულტურული წარმატებებისათვის.

თბილისის ბოლშევიკები აღფრთოვანებული არიან მზურვალე სურვილით — უფრო მდიდარი, კეთილშობილებილი და ლამაზი გახდონ თავიანთი შშობლიური ქალაქი.

ჩვენს უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიგვაჩნია მოვაწყოთ თბილისის მრეწველობისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ყოველდღიური დახმარება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი იმ ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც მის წინაშე დასახულია საკავშირო მთავრობისა და პირადად თქვენ მიერ, შშობლიური ამხანაგო სტალინ.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო, რომ თბილისის ბოლშევიკები უფრო გაალიერებენ თავიანთ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას, გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს პარტიის დაკავლებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, ჩვენს ქვეყანაში კომეფილტური შშენებლობის თქვენ გენიის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

თქვენ ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ და რწმენით მიდის წინ კომეფილზმის გამარჯვებისაკენ. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო, რომელიც შშვიდობიან შემოქმედებიოს შრომას ეწევა, მთელ მსოფლიოში შშვიდობისათვის დიადი ბრძოლის, ომის აშერიკელ და ინგლისელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის სამიდო დასაყრდენია. შშვიდობისათვის მებრძოლთა მრავალმილიონიანი არმია წინ მიმყავს სტალინს გენიას. ამ არმიას ბრძოლისათვის აღფრთოვანებს კომეფილზმის შშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი ამ შშენებლობაში. ძლავრი, დიდი სამეფოთა კავშირი ურყევ ციხე-სიმაგრად დგას ახალი ომის გამჩაღებელთა შეგნებული ზრახვების წინააღმდეგ.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ თბილისის ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გაამრავლონ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის წვლილი ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, შშვიდობისათვის, კომეფილზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას — საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს!

დიდება პარტიისა და ხალხის ბრძენ ბელადს—დიდ, შშობლიურ სტალინს!

გაიხსნა თბილისის XX პარტიული კონფერენცია

1951 წლის 10 იანვრის საღამოს სხდომა

10 იანვარს საღამოს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გიახსნა თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია.

თეატრის მაყურებელთა დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. ფართო ტელოზე მთელი იარუსის გასწვრივ აღბეჭდილია ლენინ-სტალინის დიდი პარტიის სადიდებელი სიტყვები: „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს!".

თეატრის სცენაზე გაკრულია აბრეშუმის წითელი ქსოვილი. სცენის სიღრმეშია პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი. პოსტამენტზე ამმართულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიუსტი, სცენის თავზე ოქროს ასოებით წარწერილია საყოველთაო-სახალხო პატრიოტული სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!"

კონფერენციის გახსნამდე დიდი ხნით ადრე დარბაზი გაივსო დელეგატებით — ქალაქის საუკეთესო ადამიანებით. აქ არიან თბილისის საწარმოთა სახელმოხვეჭილი სტახანოველები, რომლებმაც მრავალგზის გადაჭარბებით შეასრულეს ომისშემდგომი ხუთწლედის გეგმები, პარტიელი, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები.

თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე არჩეულია 563 დელეგატი გადაწყვეტილ ხმით და 37 დელეგატი სათათბირო ხმით.

საღამოს 7 საათია. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ზამბახიძე თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციას გახსნილად აცხადებს.

კონფერენცია იწყებს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას.

საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობაში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგაკა, მ. ბარამია, ა. ანტონოვი, ა. თოფურიძე, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, გ. ზამბახიძე, ზ. კეკუნაველი, ვ. ბაკრაძე, ს. იმნიშვილი, კ. ციმაკურიძე, მ. ლელაშვილი, ნ. რეხაძე, ი. კოპლაძაშვილი, პ. ეფიმოვი, ე. ჩერქეზია, თ. ქვლივიძე, გ. კარანაძე, ი. ზოდელავა, ი. ხვედელიანი, მ. მაღრაძე, გ. ცანტურია, ვ. ლუარსაბოვი, ნ. ყვანა, ვ. ფორეაკაშვილი, ვ. კობახიძე, ნ. რომანოვი, კ. ჯიჯინაძე, ვ. კუპრაძე, ე. ილურიძე, გ. კიკნაძე, ნ.გაბუნია, ბ. კოკოლაშვილი, ა. ხორავა, მ. მეგრელიშვილი, ნ. კეკუნაველი, ბ. ნანიტაშვილი, ნ. ბაეჩინსკი, ვ. რონინშვილი.**

სამნდაკო კომისიის შემადგენლობაში კონფერენციამ აირჩია ამხანაგები: **ი. სხირტლაძე, კ. გურგენიძე, გ. ტატიშვილი, ა. მიქაუტაძე, ი. გეტაშვილი, ი. მაისაია, დ. ჯიბლაძე.**

შემდეგ არჩეულ იქნა კონფერენციის სამდივნო ამხანაგების **ი. ჩიჩრიას, ა. ივანოვასა, ზ. პოლოსიანის, ვ. მელქაძის, გ. ჯიბლაძის, ზ. კვაკაძისა** და **ბ. ლეონინის** შემადგენლობით.

შემდეგ წინადადება არჩეულ იქნას კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმი.

— დიდი სტალინი!

დარბაზში ქუხს ოვაციი, როცა გაისმის ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი და მახლობელი სახელი პარტიისა და ხალხის დიდი ბელადისა. კონფერენციის დელეგატები მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან დიდ სტალინს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის მსოფლიოისტორიული გამარჯვებანი.

კონფერენციია მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ირჩევს საპატიო პრეზიდიუმში დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლებს — ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას, გ. მ. მალენკოვს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. ა. ბულგანინს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ა. ანდრეევს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. კოსიგინს.**

ერთხმად მტკიცდება კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში.
2. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნ. ჩარკვიანმა, რომელსაც კონფერენციის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ღრმა შინაარსიან მოხსენებაში, რომელიც კონფერენციის მონაწილეებმა შეუნელებელი ყურადღებით მოისმინეს, ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა მოგვცა თბილისის პარტიული ორგანიზაციის მიერ XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ ორი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ყოველმხრივი ანალიზი, დაუსახა ახალი პასუხსაგები ამოცანები საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკებს.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის საბოლოო სიტყვებს იმის შესახებ, რომ თბილისის ბოლშევიკები კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ დიდი სტალინის ყველა მითითების შესასრულებლად, ყველა დამსწრე ხანგრძლივი, მბრჭყალე ტაშით ეგებებენ.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ელისაბედაშვილმა.

მხურვალე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში შემოდის წინადადება — გაეგზავნოს მისალმება პარტიისა და ხალხის გენიალურ ბელადს, შშვიდობის დიდ მეგზურშე ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

კითხულობენ მისალმების ტექსტს.

ყველანი ერთსულოვნად დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულნი, ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს არ ცხრება მქუხარე ოვაციი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა გენიალური ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის დიდი სტალინის პატივსაცემად.

თავმჯდომარე თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენციის პირველ სხდომას დახურულად აცხადებს.

კონფერენციის შემდეგი სხდომა შედგება 11 იანვარს დილის 11 საათზე. (საქდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, რომ სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლიანი გეგმით დაწესებული 1950 წლის დავალება ცემენტის, აგურის, შიფერის, რბილი სახურავის, აზბესტ-ცემენტის მილების, რადიატორების, საკანალიზაციო თუჯის მილებისა და სათბობი ქვაბების გამოშვების დარგში.

ცემენტისა და სხვა საშენ მასალათა წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება მიღწეულია საწარმოთა აღდგენისა და რეკონსტრუქციის, სამთო და სატრანსპორტო საშუშაოთა მექანიზაციის გაფართოების, საწარმო პროცესების ინტენსიფიკაციისა და თქვენი, იოსებ ბესარიონის-ძევ, მითითებით უახლესი ტექნიკითა და მაღალი წარმადობის მოწყობილობით აღჭურვილი ცემენტის ახალი ქარხნების შშენებლობის გზით.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი იუდინი.

ქალაქ ქუთაისის წუღუკიძის საარჩევნო ოლქი

მაუღლის უპირველეს კოლეგიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ქუთაისი. (საკ. კორ.). მაუღლის ფაბრიკის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები გუშინ შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

სიტყვა ეძლევა პარტბიუროს მდივანს ამხ. ბიძინა ყანჩაველს.

— ჩვენს კოლეკტივს დიდი საზეიმო დღე აქვს, — ამბობს იგი, — დღეკანდელ კრებაზე ზვიადრაბეთ ომისათვის, რომ განვაცხადოთ სტალინური კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული დიადი დემოკრატიული უფლება — დავასახელოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. წინადადება შემომაქვს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივიდან დავასახელოთ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი, პროგრესული კაცობრიობის დიდი მეგობარი და ბრძენი მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი.**

(მეტხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).

ტრიბუნაზეა წარმინებული ქვოსტატი ამხ. ვ. ცაგარეშვილი.

— ამხანაგ სტალინს სახელი, — ამბობს იგი, — მაზლობელი და ძეირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. ამ ნათელ სახელთან დაკავშირებულია ყველა ჩვენი გამარჯვება. ეს სახელებთ რა ამხანაგ სტალინს დეპუტატობის ჩვენს კანდიდატად, ფეიერი ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა ჩვენი სტაპანოვური შრომით უფრო მეტად განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. ჩვენი შრომითი საგმირო საქმეებით ერთხელ კიდევ ცხადყოფთ ჩვენს მხერვალე სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას დიდი სტალინისადმი, ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი. პირადად მე კაღლებლობას ვკისრულობ არჩეულის დღისათვის შევარულო 1951 წლის პირველი კვარტალის გეგმა.

სიტყვას იღებს სააპრეტორო საამქროს სტახანოველი მარო ქიქავა.

— მე, — განაცხადა მან, — მხურვალედ ვუჭერ მხარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი საუკეთესო მეგობრის, ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელებას. მთელი მსოფლიოს ხალხები ამხანაგ სტალინის სახელით იბრძვიან მტაცეც მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. პირობას ვდებ ორკაკად შევასრულო დაკალება და საამშობლოს მოვეც მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

კრებაზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ა. სვანიძემ, ., ალაშვილმა და სხვებმა.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: ეთხოვოს ამხანაგ სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ ქუთაისის წულუკიძის № 204 საარჩევნო ოლქში ქუთაისის მაღლის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივისაგან.

შემდგომ კრებამ აირჩია 25 წარმომადგენელი წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე დასასწრებლად.

500-ზე მეტმა ფეიერამ, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ, დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ბაკის საარჩევნო ოლქი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლეგიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი თინათინ ნიკოლოზის ასული მრევლიშვილი

უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში ჩაიარა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ.

სიტყვას იღებს უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ნ. კეკელიძე.

— დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, — განაცხადა მან, — საბჭოთა ქვეყანა გაუფხრეულად მიდის წინ კომუნიზმისაკენ. მაშინ როცა იმპერიალისტი მტაცებლები ახალ ომს აჩაღებენ, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო კომუნიზმის შენებლობის დიდი პროგრამას ახორციელებს, ახალ გიგანტურ ელექტროსადგურებსა და სარწყავ სისტემას აგებს, ახალი ძალით აჩაღებს შეტევას ბუნების გარდაქმნისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დიდ სტალინის სახელს ატარებს, — განაგრძობს ამხ. ნ. კეკელიძე, — წლითიწლობით ახალ წარმატებებს აღწევს. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 7 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოწყობისათვის. მომზადებულია მრავალრიცხოვანი ახალი კადრი, უმაღლესებსა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ყოველივე ეს შედგება დიდი სტალინის ზრუნვისა მეცნიერებისადმი, საეციალისტებისადმი.

წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ხალხთა საყვარელი ბელადი, მეცნიერების დიდი კორიფეე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინის დასახელებას დარბაზი ზანგრძლივი ოვაციით შეეხვდა.

სიტყვა აიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა აკადემიკოსმა ალ. ჯანელიძემ.

— იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი,— თქვა მან, — გამარჯვების უტყუარი გზით მოძღვის ჩვენს ხალხს და მთელი მსოფლიოს მშრომელთ. ამიტომ არის ყველასათვის ასე საყვარელი ბელადის სახელი. ამიტომ უყვანთ იგი ერთხმიერად მსოფლიოს ყველა კუთხეს, ყველა ერის ხალხებს. მე მხარს ვუჭერ ამ. კეკელიძის წინადადებას, რათა ჩვენი კოლეკტივისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხანაგი სტალინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ი. ბ. სტალინის დასახელებას მხერვალედ უჭერენ მხარს აგრეთვე ტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი გ. ძოწენიძე და ფრიადოსანი სტუდენტი ჩიქოვანი.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ეკალ № 42 საარჩევნო ოლქში ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ.

სიტყვა ეძლევა პროფესორ დ. მგელაძეს. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს მოწინავე მუშაკს, რუსული ენის კათედრის გამგეს დოცენტ თინათინ ნიკოლოზის ასულ მრევლიშვილს.

პროფესორ მგელაძის წინადადებას მხერვალედ უჭერენ მხარს პროფესორი ო. ფორფთელი, დოცენტი დ. ბიმბერაშვილი და სტუდენტი შ. ცხვედიანი.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენებულ იქნას თინათინ ნიკოლოზის ასული მრევლიშვილი ეკალ № 42 საარჩევნო ოლქში.

კრებამ მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 1 საქართველოს სსრ

თბილისის კიროვის სახელობის ზეგზამთმფლობელობის კოლეგიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე

9 იანვარს, მუშაობის დამთავრებამ შემდეგ, თბილისის კიროვის სახელობის ზეგზამთმფლობელობის ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ამწყობი საამქროს ეკეკეკ კორპუსში შეიკრიბა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილ კრებას ხსნის საქართველო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. გოგალიაძე.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა ქარხნის პარტბიუროს მდივანს ამხ. კ. გოგლიძეს.

— ამხანაგებო! — ამბობს ამხ. გოგლიძე, — მიმდინარე წლის 18 თებერვალს საქართველოს მშრომელები სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩევენ თავიანთი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს. არჩევნებისათვის მზადება როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და საწარმოო ღონისძიებით. საბჭოთა ადამიანებმა წარმატებით შეასრულეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებანი და ახლა მთელი ენერგიით იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა ხალხი ღრმად არის დარწმუნებული ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის სისწორეში, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი აყვავების, ხალხთა ძმური მეგობრობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემტკიცებისა და უშიშროების განმტკიცების პოლიტიკის სისწორეში, ამიტომ არის, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობის გულსისტური მიპყრობილია ჩვენი დიადი სამშობლოსადმი, მთელი საბჭოთა ხალხის პირველი კანდიდატის, ჩვენი სამშობლოს ყველა ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორის, შემოქმედის სტალინისადმი **(მეეხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ვახორციელებთ რა სტალინური კონსტიტუციით მონიჭებულ დიად უფლებას, დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ დავასახელოთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატობის ჩვენი კანდიდატები.

ჩვენი ქარხნის მუშების, ინჟინერების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების სახელით წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რკინიგზის № 2 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას დიდი სტალინის თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, სსრ კავშირის მინისტრი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია **(მეეხარე ტაში).**

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ამხანაგ ბერიას დამსახურება საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მისი ხელმძღვანელობით განმტკიცდა ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობა, აყვავდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები. დიდი სამამული ომის წლებში ამხანაგმა ლ. ბერიამ შესანიშნავად განახორციელა კავკასიის მიდამოებიდან გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბანდიტების სტალინური გეგმა. ომისშემდგომ ხეთწლედში ამხანაგი ბერია უდიდეს მუშაობას ეწეოდა და ეწევა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სიტყვა ეძლევა იმეიორ-ტექნიკოლოგს ამხ. ო. ოძიაძეს, რომელიც ლაპარაკობს ამხანაგ ბერიას უდიდეს დამსახურებაზე საბჭოთა ხალხს წინაშე და მხარს უჭერს ამხ. გოგლიძის წინადადებას.

ერთსულოვნად დაუჭერეს მხარი ამ. გოგლიძის წინადადებას აგრეთვე სტახანოველმა მარო ფოროვამ ამხ. სალიმე, ალაეარდაშვილმა და ჭარხლის მთავარმა კონსტრუქტორმა ამხ. ლ. კეკლიოვამ.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა — დასახელებულ იქნას ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს რკინიგზის № 2 საარჩევნო ოლქში.

სიტყვა ეძლევა პირველი მეკანიკური საამქროს უფროსს ინჟინერ თ. დავითაშვილს, რომელსაც წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას კიროვის სახელობის ზეგზამთმფლობელობის ქარხნის დირექტორი ამხ. ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე.

— ამხ. მელაძე, — ამბობს ამხ. დავითაშვილი, — ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილია. მის მიერ გავლილი გზა ზეინკლიდან ქარხნის დირექტორამდე სამაგალითოა ყველა მუშისათვის. ამხ. მელაძემ ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ქარხნის წინსვლის, წარმოებაში ნაკადური მეთოდის დანერგვის, ახალი დაზგების ათვისებისათვის. მისი ხელმძღვანელობით უკანასკნელ ხანს ჩვენმა ქარხანამ ოთხეკერი დაიკავა პირველი ადგილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღო სსრ კავშირის მინისტროს სამკოვ გარდამავალი წოდელი დროშა.

ამხანაგებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აირჩევენის ოლსანინაგად საამქროს კოლეკტივის სახელით ალექსანდრეს ეკისტოფოს ანანოს საწარმოო გეგმა შეასრულოთ 110 პროცენტით, ხოლო თებერვლისა—25 თებერვლისათვის.

ამხ. დავითაშვილის წინადადებას ერთხმად დაუჭერეს მხარი და ამხ. მელაძე დაანახანათვის როგორც უნარიანი სამეურნეო მეშაკი და დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი — მე-11 ამწყობი საამქროს ოსტატმა ამხ. ი. არტემიევმა, საიარაღო საამქროს სტახანოველმა ამხ. გრ. ზარქუმამ და კონსტრუქტორმა ამხ. გალინა ბაიბურსკაიამ.

კრებამ ერთხმად დაადგინა — დასახელებულად იქნას ამხ. ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს № 1 საარჩევნო საარჩევნო ოლქში.

დასასრულ კრებამ აირჩია 50 წარმომადგენელი № 1 საქარხნო საარჩევნო ოლქის ამომაჩრეველთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე დასასწრებლად.

ბაბეულის კომბინატის მშენებლობის მომარაგების განყოფილების უფროსობა ამხ. დ. ტერროვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა ამხანაგ სტალინის თანამებრძოლი, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ამხ. ტერროვსკის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭერეს მხარი კრების მონაწილეებმა.

6. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წინასაარჩევნო კრება გაჩნია ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. გ. ხარაულმა.

სიტყვას იღებს დოცენტი ამხ. მ. ჩიკვაიძე. მან წინადადება შეაქმს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დიდი სტალინის მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პაველს-ძე ბერია.

მეეხარე ტაშით კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი ლ. პ. ბერია.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ბაკის საარჩევნო ოლქი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლეგიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია ილია კონსტანტინეს-ძე კოლიევი

სტალინირი. (საკ. კორ.). უდიდესი პოლიტიკური ალმავლობით ჩაიარა წინასაარჩევნო კრებამ კოსტა ხეთაგურავის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრში. სიტყვას იღებს მსახიობი ფ. გაბაევი.

— ჩვენი დიადი და მშვენიერი სამშობლოს გმირი ხალხი, — ამბობს იგი, — ძლევამოსილად მიდის წინ — კომუნიზმისაკენ. ეს დიადი წინსვლა ხორციელდება ყველა ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელებით. სტალინი ჩვენი მზე და ბედნიერებაა. ამიტომ ჩვენი გულითადი, პირველი სიტყვა ამ დაუვიწყარ წუთებში არის სტალინი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ამბობს ს. გაზვიევი, — ვასახელებ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ორატორის ამ სიტყვებს მეეხარე ტაში ფარავს. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ხელოვნების მუშაკები თ. ლოლაძე, ვ. ჩაბიევი, მ. საფრონოვი და სხვები. ისინი მხერვალედ უჭერენ მხარს ამ. ს. გაზვიევის წინადადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინის დასახელების შესახებ.

ამავე კრებაზე მსახიობმა ვ. დარბაზეშვილმა წაიკითხა შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის დასახელების შესახებ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამხანაგებმა ნ. ნინოძემ, ა. ჯაკაეკმა და ვ. სარალიძემ.

ტრიბუნაზეა ხელოვნების მუშაკი ს. ტყეშელაძე. მას წინადადება შეაქმს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას დიდი ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალიზმის, ერთიანი ფრონტის ბრძოლის ალაფი, ალაფი ძალით აჩაღებს შეტევას ბუნების გარდაქმნისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დიდ სტალინის სახელს ატარებს, — განაგრძობს ამ. ნ. კეკელიძეი, — წლითიწლობით ახალ წარმატებებს აღწევს. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 7 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა უნივერსიტეტის ლაბორატორიებისა და კაბინეტების მოწყობისათვის. მომზადებულია მრავალრიცხოვანი ახალი კადრი, უმაღლესებსა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ყოველივე ეს შედგება დიდი სტალინის ზრუნვისა მეცნიერებისადმი, სპეციალისტებისადმი.

წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ხალხთა საყვარელი ბელადი, მეცნიერების დიდი კორიფეე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინის დასახელებას დარბაზი ზანგრძლივი ოვაციით შეეხვდა.

სიტყვა აიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა აკადემიკოსმა ალ. ჯანელიძემ.

— იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი,— თქვა მან, — გამარჯვების უტყუარი გზით მოძღვის ჩვენს ხალხს და მთელი მსოფლიოს მშრომელთ. ამიტომ არის ყველასათვის ასე საყვარელი ბელადის სახელი. ამიტომ უყვანთ იგი ერთხმიერად მსოფლიოს ყველა კუთხეს, ყველა ერის ხალხებს. მე მხარს ვუჭერ ამ. კეკელიძეის წინადადებას, რათა ჩვენი კოლეკტივისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხანაგი სტალინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ი. ბ. სტალინის დასახელებას მხერვალედ უჭერენ მხარს აგრეთვე ტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი გ. ძოწენიძე და ფრიადოსანი სტუდენტი ჩიქოვანი.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ეკალ № 42 საარჩევნო ოლქში ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ.

სიტყვა ეძლევა პროფესორ დ. მგელაძეს. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს მოწინავე მუშაკს, რუსული ენის კათედრის გამგეს დოცენტ თინათინ ნიკოლოზის ასულ მრევლიშვილს.

პროფესორ მგელაძის წინადადებას მხერვალედ უჭერენ მხარს პროფესორი ო. ფორფთელი, დოცენტი დ. ბიმბერაშვილი და სტუდენტი შ. ცხვედიანი.

